ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი

2016-2017 სასწავლო წელი

ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა სასწავლო კურსისა და პედაგოგთა შეფასების კითხვარის მიხედვით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სწავლების ხარისხის ამაღლება. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა, ასევე მაგისტრანტებმა. გამოკითხვა ანონიმური იყო. აღსანიშნავია ასევე, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების დაბალი აქტივობა.

გამოკითხვის შედეგები შეჯამდა შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: ჯამი, საშუალო არითმეტიკული, მედიანა, სტანდარტული გადახრა. ამასთან, შესაძლებელი იყო დამატებითი კომენტარების წარდგენა.

2.5-5 შორის შეფასება ჩაითვლა დადებითად; ხოლო 2-2.5 - პრობლემატურ შეფასებად. 1-2 ფარგლები - არადამაკმაყოფილებლად.

აღსანიშნავია, რომ თითქმის არსად დაფიქსირებულა არადამაკმაყოფილებელი და პრობლემატური შეფასებები; შეფასებები მერყეობს 3.5-დან და ზემოთ ფარგლებში. შეფასებები ინდივიდუალურად გადაეცემათ პროფესორ მასწავლებლებს გასაცნობად და რეაგირებისთვის.